

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური წარდგინებით
მიმართვისა და საქმისწარმოების შეჩერების თაობაზე

საქმე #293აპ-14

6 მარტი, 2015 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

პაატა სილაგაძე (თავმჯდომარე)
მაია ომხარელი, გიორგი შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ა-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვისა და საქმისწარმოების შეჩერების საკითხი

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 დეკემბრის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 1000 ლარი; სსკ-ის 120-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და ლ. ა-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 11 ივნისიდან.

2. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. ა-მა. იგი ითხოვდა სსკ-ის 19,108-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ქმედებისათვის კვალიფიკაციის შეცვლას და სასჯელის შემსუბუქებას.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 1000 ლარი, რომლის მოხდისგანაც გათავისუფლდა საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად; სსკ-ის 120-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ლ. ა-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 11 ივნისიდან.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. ა-მა და მოითხოვა სსკ-ის 19,108-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ქმედებისათვის კვალიფიკაციის შეცვლა და სასჯელის შემსუბუქება ამ ნაწილში.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვალს განჩინებით მსჯავრდებულ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა გაეცნო მსჯავრდებულ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარს, საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით კონსტიტუციური წარდგინებით უნდა მიემართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო საქმისწარმოება უნდა შეჩერდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან.

2.1. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადების შესაბამისად, კანონს, თუ ის [...] არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

2.2. აღნიშნული ნორმა შინაარსობრივი თვალსაზრისით გულისხმობს პასუხისმგებლობის გაუქმების შემთხვევაში უკუძალის გავრცელების სავალდებულობას.

2.3. ამასთან, პასუხისმგებლობის ცნებასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში მოხსენიებული ტერმინი „პასუხისმგებლობა“ არის სუბიექტური და ობიექტური პასუხისმგებლობის ერთობა: ტერმინი „პასუხისმგებლობა“ უნდა განიმარტოს ფართოდ და მასში უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი იურიდიული პასუხისმგებლობა. რაც შეეხება პასუხისმგებლობის გაუქმებას, აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ამა თუ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედების კატალოგიდან ამორიცხვა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.პ.5). გარდა ამისა, თავად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილიც პირდაპირ მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. შესაბამისად, ცალსახაა, რომ პასუხისმგებლობის ცნება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, პირველ რიგში, დანაშაულს უკავშირდება

2.4. საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის: ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას.

მოცემულ შემთხვევაში საინტერესო ის არის, საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს თუ არა დანაშაულის დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებით გარანტირებული უფლების სრულყოფილ რეალიზაციას.

2.5. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, დანაშაულის დეკრიმინალიზაციის მიუხედავად, ადგენს პირის მსჯავრდების (დამნაშავედ გამოცხადების), სასჯელის დანიშვნისა და მხოლოდ ამის შემდეგ პირის სასჯელისაგან გათავისუფლების სავალდებულო წესს იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედება, რომელიც ჩადენის დროისათვის დანაშაულს წარმოადგენდა, განაჩენის გამოტანის დროისათვის დეკრიმინალიზებულია - ამორიცხულია „მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კატალოგიდან“. აღნიშნული ბუნდოვანი ვითარება განსაკუთრებით მაშინაა თვალშისაცემი, როდესაც მას იყენებს პირველი ინსტანციის სასამართლო, ანუ როდესაც ნორმის მოქმედების პირობებში არ მომხდარა პირის მსჯავრდება და ეს პირველად განხორციელდა მას შემდეგ, რაც ნორმამ არსებობა შეწყვიტა ანუ როდესაც გარკვეულ პერიოდში მან კანონიერი ძალა დაკარგა და ამ სამართლებრივ სივრცეში მყოფი პირების მიმართ სრულიად უსარგებლოდ იქცა. ამდენად, ფაქტობრივად, განაჩენის გამოტანის დროს არარსებული (დეკრიმინალიზებული) სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე ხდება პირის დამნაშავედ ცნობა და მხოლოდ სასჯელისაგან გათავისუფლება.

2.6. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ასევე განმარტებულია, რომ „პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამაუქმებელი კანონმდებლობის სავალდებულო მოქმედება არის კონსტიტუციით დაცული [...]. კანონმდებელი ასევე შეზღუდულია ამავე მუხლის იმ კონსტიტუციური დებულებით, რომ, თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.12). გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნულია, რომ ეს უფლება აბსოლუტურ ხასიათს ატარებს და, შესაბამისად, მისი შეზღუდვა არ დაიშვება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II.3.1).

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აბსოლუტური უფლებით შეზღუდული სარგებლობა რისკის ქვეშ აყენებს თავად ამ უფლების რეალური, ეფექტური და შეუზღუდავად სარგებლობის შესაძლებლობას, რაც თავისთავად ამ გარანტიის არსებობას კითხვისნიშნის ქვეშ აყენებს.

3. საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან.

3.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, [...] გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს [...].

3.2. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი იმპერატიული ხასიათისაა და რაიმე გამონაკლისს, ამ გარანტიის შეზღუდვის თვალსაზრისით, არ ითვალისწინებს.

3.3. აღნიშნული პრინციპი იცავს პირს გამამტყუნებელი განაჩენისგან, თუ ეს უკანასკნელი კანონიერ საფუძვლებს არ ემყარება.

3.4. იგივე პრინციპი რეგლამენტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილში, კერძოდ: [...] გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

3.5. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადების შესაბამისად, კანონს, თუ ის [...] არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

3.6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში, რაც თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლო მხარეს ვერ მიაკუთვნებს იმაზე მეტს, ვიდრე იგი საჩივრით ითხოვს ანუ ვერ გასცდება საჩივრის მოთხოვნას. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, საქმე შეისწავლოს და გადაწყვიტოს მხოლოდ იმ ფარგლებში, რაზეც მხარე აპელირებს.

3.7. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გასაჩივრების ერთთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ არც საჩივრის მოთხოვნის გაზრდის (თუნდაც უშუალოდ სასამართლო სხდომაზე) შესაძლებლობას ითვალისწინებს, ხოლო მოსამართლის მიერ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების *sua sponte* შეფასება დაუშვებელია.

3.8. საპროცესო კოდექსის აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიული ხასიათისაა და მოსამართლეს ავალდებულებს, მხოლოდ მოთხოვნილი რაკურსით შეაფასოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება და არ უტოვებს შესაძლებლობას, საკასაციო საჩივრის განხილვისას ყურადღება მიაქციოს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც შესაძლებელია იყოს განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულის დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში პირის ქმედებაზე მსჯელობა, რითაც იზღუდება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადება (კანონს, თუ ის [...] არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს) და ასევე ყურადღება მიაქციოს ისეთ მნიშვნელოვან დარღვევებს, როგორც შესაძლებელია იყოს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის ([...] გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს [...]) უგულებელყოფა, რითაც ასევე ცალსახად იზღუდება აღნიშნული ნორმის მოქმედება.

3.9. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს არა მხოლოდ მტკიცებულებათა უტყუარობის სტანდარტს, არამედ მის საკმარისობაზეც მიუთითებს, კერძოდ: გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის აუცილებელია არსებობდეს მტკიცებულებები ანუ მტკიცებულებათა ერობლიობა. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ერთობლიობა არ არსებობს, პირის ბრალის დასადასტურებლად შეუძლებელია მიღებულ იქნეს გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა განმეორებით უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციით განმტკიცებულ ამ გარანტიას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილი რეალიზაციის შესაძლებლობას უკარგავს, ვინაიდან საკასაციო პალატა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენის კანონიერებას აფასებს მხოლოდ საჩივრის ფარგლებში, რაც უდანაშაულო პირის მსჯავრდების რისკს გაუმართლებლად ზრდის.

3.10. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა, ცხადია, უკავშირდება საპროცესო-სამართლებრივ საკითხებს - მტკიცებულებათა საკმარისობასა და უტყუარობას. იმ შემთხვევაში, როდესაც პირის ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს, ე.ი. დანაშაულის არსებობა-არარსებობის საკითხი (ქმედების არასწორი სამართლებრივი შეფასება) დგას დღის წესრიგში, ერთი შეხედვით, იგი მხოლოდ სამართლებრივ შეფასებას უნდა ეხებოდეს და არა - მტკიცებულებათა საკმარისობასა და უტყუარობას, თუმცა ცალსახაა, რომ სწორედ

მტკიცებულებებიდან გამომდინარეობს კონკრეტული სამართლებრივი შეფასება და საკმარისი ან/და უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის გამო ვერ დგინდება დანაშაულის შემადგენლობის ესა თუ ის ნიშანი, რაც სასამართლოს პირის ქმედების დანაშაულად დაკვალიფიცირების შესაძლებლობას უკარგავს. ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სასამართლოს წინაშე დგას მხოლოდ ქმედების არასწორი სამართლებრივი შეფასების საკითხი, კონსტიტუციით გარანტირებული გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები სამართლებრივი შეფასების განუყოფელი ნაწილია.

3.11. ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას უტოვებს დისკრეციას, განსაზღვროს გასაჩივრების უფლების რეალიზების მოდალობები, გასაჩივრების საფუძვლების ჩათვლით (მე-18 მუხლი). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, დისკრეციის აღნიშნული ფარგლები ფართოა. მაგალითად, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებაში, საქმეზე *ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ*¹, სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეებზე გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებით თავისი ზემოაღნიშნული მიდგომა კიდევ ერთხელ დაადასტურა, როცა დაადგინა, რომ „სახელმწიფოებს აქვთ დისკრეციის ფართო ფარგლები მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით“ (გადაწყვეტილების 96-ე პუნქტი). აღნიშნული უფლება, როგორც წესი, ირღვევა მაშინ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გასაჩივრების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით ნებადართული სამი გამონაკლისიდან თუნდაც ერთ-ერთს არ ემთხვევა².

3.12. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილი ერთგვარი გამოვლინებაა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებისა, რომლებზეც მთლიანად აგებულია ზემოაღნიშნული კოდექსი, რაც მოსამართლეს საქმის საკასაციო განხილვის სტადიაზე არბიტრის როლს უტოვებს. თუმცა ზემოაღნიშნულ მუხლთან მიმართებით შეჯიბრებითობის პრინციპის აბსოლუტური მოცულობით რეალიზებამ შესაძლებელია, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ისეთი ფუნდამენტური გარანტიები, როგორც, მაგალითად, არის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადება - კანონს, თუ ის [...] არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი - [...] გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს [...]. ამიტომ შესაძლებელია, ამ მუხლის კონსტიტუციურობა ეჭვქვეშ დადგეს იმ რედაქციით, როგორც იგი არსებობს დღეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუნდაც დადგინდეს ამ ნორმიდან გადახვევის საგამონაკლისო კრიტერიუმები, საჭირო იქნება მათი

¹ ნაცვლიშვილი (Natsvlishvili) და ტოგონიძე (Togonidze) საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი no. 9043/05, 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

² იხ. ზაიცევის (Zaicevs) ლატვიის წინააღმდეგ, განაცხადი no. 65022/01, 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, (53-ე პუნქტი).

მკაცრად ჩამოყალიბება, რათა დაცულ იქნეს ბალანსი შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციასა და ადამიანის (ბრალდებულის) ფუნდამენტური, კონსტიტუციური და საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების დაცვას შორის.

3.13. საინტერესოა ასევე საერთაშორისო პრაქტიკა საჩივრის განხილვის ფარგლებთან მიმართებით, სადაც გარკვეული სახის გამონაკლისები იკვეთება, კერძოდ:

აშშ-ს სამართლებრივ სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია შეჯიბრებით პროცესს. შესაბამისად, საგამონაკლისოა მოსამართლის ინიციატივით, მხარეთა არგუმენტაციისა და მოთხოვნის გარეშე, sua sponte ქმედების განხორციელება. აშშ-ს აკადემიურ წყაროებში არაერთგვაროვანი მიდგომა შეინიშნება ამგვარ ქმედებასთან მიმართებით³. რაც შეეხება აშშ-ს სასამართლო პრეცედენტებს, შეჯიბრებითი პროცესის შენარჩუნების პირობებში ამ პრინციპის განხორციელება, ისევე და ისევე ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად, შემდეგი კომპრომისული გზით ხერხდება: მთავარია, საკითხის sua sponte წამოჭრისას სასამართლომ მხარეებს საშუალება მისცეს, იდაონ ახლად წამოჭრილ საკითხზე. შესაბამისად, ამერიკული შეჯიბრებითი პროცესი თვალს ხუჭავს საკითხის sua sponte წამოჭრაზე, თუმცა არალეგიტიმურად მიიჩნევს მის sua sponte გადაწყვეტას. ამის ნათელი დასტურია საქმეები *Erie R.R. Co. v. Tompkins* და *Mapp v. Ohio*⁴. ამ საქმეებში გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ საკითხზე, რომელზეც მხარეები საერთოდ არ დაობდნენ. განსხვავებული აზრები *Erie* და *Mapp*-თან დაკავშირებით კითხვის ნიშანს არ სვამდნენ იმის შესახებ, უნდა დაეყენებინა თუ არა სასამართლოს პრეცედენტის შეცვლის საკითხი sua sponte, არამედ დაობდნენ იმაზე, რომ სასამართლოს არ უნდა გადაეწყვიტა საკითხი მხარეთა მიერ წინასწარ შესაბამისი ჩანაწერის ან არგუმენტების წარდგენის გარეშე⁵. გარდა ამისა, საქმეში *Snider v. Melindez* სასამართლომ აღნიშნა, რომ „რაიონული სასამართლოს პრობლემა მდგომარეობდა არა იმაში, რომ მან საკუთარი ინიციატივით იმოქმედა, არამედ იმაში, რომ ეს მოხდა ბრალდებულისათვის შეტყობინების გარეშე, რის გამოც მას არ მიეცა შესაძლებლობა, გამოეხატა თავისი აზრი“⁶. ამ საკითხზე არსებობს აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსაზრებაც, რომელმაც საქმეზე *United States National Bank of Oregon v. Independent Insurance Agents of America, Inc.* აღნიშნა, რომ რადგან სააპელაციო სასამართლომ, სასარჩელო მოთხოვნის მიღმა მსჯელობის მიუხედავად გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარეებს შესაძლებლობა მისცა დაყენებულ საკითხზე თავიანთი პოზიცია წარედგინათ, ადგილი არ ჰქონია დისკრეციის ბოროტად გამოყენებას.⁷

³ THOMAS B. MARVELL, APPELLATE COURTS AND LAWYERS: INFORMATION GATHERING IN THE ADVERSARY SYSTEM 122 (1978), Eric D. Miller, Comment, *Should Courts Consider 18 U.S.C. § 3501 Sua Sponte?*, 65 U. CHI. L. REV. 1029, 1049 (1998).

⁴ *Erie Railroad Co. v. Tompkins*, 304 U.S. 64 (1938); *Mapp v. Ohio*, [367 U.S. 643](#) (1961).

⁵ *Mapp v. Ohio*, [367 U.S. 643](#) (1961).

⁶ *Snider v. Melindez*, 199 F.3d 108, 113 (2d Cir. 1999).

⁷ U.S. Nat'l Bank of Or. v. Indep. Ins. Agents of Am., Inc., 508 U.S. 448 (1993)

3.14. ამ მხრივ საინტერესოა კანზასის შტატის ფედერალური სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული წესიც, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლოებმა შესაძლოა განიხილონ საკითხი, რომელიც მხარეებს არ ჰქონდათ წარდგენილი, როდესაც: 1) ახლად დადგენილი მოთხოვნა მოიცავს მხოლოდ სამართლის საკითხს, რომელიც გამომდინარეობს დამტკიცებული ან აღიარებული ფაქტებიდან და საბოლოოდ გადაწყვეტია საქმისათვის; 2) მოთხოვნის განხილვა აუცილებელია მართლმსაჯულების აღსრულებისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვისათვის; და 3) რაიონული სასამართლო მართალია არასწორი მიზეზის საფუძველზე („right for the wrong reason“).⁸ ეს მიდგომა გამოყენებულ იქნა საქმეში *State v. Minor* (1966), რომელიც ეხებოდა პირველი ხარისხის მკვლელობას. აპელაციაზე მომჩივანმა წარმოაჩინა მთელი რიგი დარღვევები, რომლებიც დაუშვა პირველი ინსტანციის სასამართლომ, მაგრამ არ გაუსაჩივრებია ის, იყო თუ არა სასამართლოს მიერ გამოყენებული მტკიცებულებები საკმარისი, რათა მას მსჯავრი დასდებოდა პირველი ხარისხის მკვლელობისთვის. ამის მიუხედავად, უზენაესმა სასამართლომ წამოჭრა ახალი საკითხი და საკუთარი ინიციატივით შეცვალა გადაწყვეტილება. თავის მოსაზრებაში მოსამართლე შროდერმა აღნიშნა, რომ მსჯავრდება არასრული ინფორმაციის საფუძველზე არღვევდა ჯეროვან სამართლებრივ პროცესს აშშ-ს კონსტიტუციის მე-14 ცვლილების თანახმად. შესაბამისად, კონსტიტუციური პრინციპი დადგა საპროცესო ჩარჩოებზე მაღლა.

მსგავსი მიდგომა ასევე შეინიშნება *გერმანიის ფედერაციაში* შეჯიბრებითი პროცესის რეალიზებისას. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლი, ქართულის მსგავსად, სააპელაციო ეტაპს სასარჩელო მოთხოვნით ზღუდავს. თუმცა, როდესაც საჭირო ხდება ამ პრინციპის შეზღუდვით უფრო მაღლა მდგომი კონსტიტუციური პრინციპის დაცვა, ამ მუხლის დანაწესი შედარებით მოქნილი ხდება:

“ნაწილობრივი გასაჩივრების დროს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუსაჩივრებელი ნაწილი აპელაციამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეავსოს ან განიხილოს/გამოასწოროს, თუ ადგილი აქვს აშკარა შეცდომას და არა შემდგომ ობიექტურ ცვლილებას.”⁹

⁸ [კანზასის სააპელაციო პრაქტიკის სახელმძღვანელო, მე-5 გამოცემა, სექცია 8.4. გვ.8-2, საქმის *State v. Gomez* ციტირება, 290 Kan. 858, 862, 235, P.2d 1203 (2010). საქმე *State v. Minor* (1966)

⁹ Lutz Meyer-Goßner Strafprozessordnung, Mit GVG und Nebengesetzen 46.Auflage, Verlag C.H.Beck, 2003

შესაბამისად, გერმანული სისტემა უშვებს საგამონაკლისო სახით მოსამართლის გააქტიურებას სააპელაციო ეტაპზეც, მაგრამ ერთი გამონაკლისით-ბრალდებულის მდგომარეობის დამძიმების გარეშე.

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ცხადი გახდა, რომ *აშშ*-სა და *გერმანიის* ერთი შეხედვით „დახურული“ შეჯიბრებითი პროცესი რიგ გამონაკლისებს ითვალისწინებს, რომლებიც პრაქტიკით მოწესრიგდა. ამასვე მიუთითებს შეჯიბრებითობაზე დაფუძნებული სხვა ქვეყნების კანონმდებლობაც, კერძოდ: ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა სხვადასხვანაირად წესრიგდება. ზოგ ქვეყანაში გადასინჯვა შემოიფარგლება სამართლებრივი საკითხების შემოწმებით, ზოგ ქვეყანაში კი შესაძლებელია, გასაჩივრდეს და, შესაბამისად, გადასინჯოს როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი გარემოებები. უფრო კონკრეტულად, *ლატვიის* სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (თავი 54, სექცია 584 –საკასაციო სასამართლოში - „1. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების განხილვა უნდა განხორციელდეს საკასაციო საჩივარში მითითებული მოთხოვნების ოდენობით და მათ ფარგლებში; 2. საკასაციო სასამართლოს უნდა მიეცეს ნებართვა, გასცდეს საკასაციო საჩივარში მითითებული მოთხოვნების ფარგლებს იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო დაადგენს ამ კანონის 574-ე (სისხლის სამართლის დარღვევა) და 575-ე (სისხლის საპროცესო სამართლის არსებითი დარღვევა) სექციების დარღვევას და ამგვარი დარღვევები არ იქნა მითითებული საჩივარში“.), *პოლონეთის* (მუხლი 536 - „საკასაციო სასამართლომ უნდა განიხილოს საკასაციო საჩივარისა და წაყენებული ბრალდებების ფარგლებში და უნდა განიხილოს საკასაციო საჩივარი ამ ფარგლებს მიღმა მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც აღწერილია 435-ე, 439-ე და 455-ე მუხლებში. (435-ე და 439-ე მუხლები ეხება საპროცესო დარღვევებს, ხოლო 455-ე მუხლი - საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, იმსჯელოს არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე, მიუხედავად საჩივრის შინაარსისა, გარდა საუარესოდ შებრუნებისა)) და *დიდი ბრიტანეთის* (სააპელაციო გასაჩივრების აქტი, მუხლი 2 - „თუ სამეფო სასამართლომ (ქვემდგომი ინსტანცია) ერთ პროცესზე ბრალდებულს მიუსაჯა ორი ან მეტი სასჯელი, სააპელაციო საჩივრის უფლება და სააპელაციო საჩივარი ერთი სასჯელის წინააღმდეგ, ავტომატურად მოიცავს სააპელაციო საჩივრის უფლებასა და სააპელაციო საჩივარს სხვა სასჯელებზე“. მართლმსაჯულების ადმინისტრირების აქტი (1960), მუხლი 1, სუბსექცია 4 - „უზენაეს სასამართლოს შეუძლია, განახორციელოს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ნებისმიერი უფლებამოსილება“, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილი უფლებამოსილება ვრცელდება უზენაეს სასამართლოზეც.) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

გარდა ამისა, საინტერესოა შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის დებულებები *კანადაში, კერძოდ, მტკიცებულებათა აქტის* 37.3 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, მიიღოს ნებისმიერი ტიპის გადაწყვეტილება ბრალდებულის უფლებათა დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მიზნით. ეს რეგულაცია ვრცელდება კანადის უზენაეს სასამართლოზე¹⁰.

შესაბამისად, რთულია მოიძებნოს ისეთი სამართლებრივი სისტემა, სადაც მკაცრად გამიჯნული შეჯიბრებითობის პირობებში, ასევე მკაცრად ხდება სააპელაციო ან საკასაციო სტადიაზე მოსამართლის, როგორც არბიტრის, როლის შენარჩუნება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოს ახასიათებს გამონაკლისი -სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტური პრინციპების დაცვის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო *per se* კონვენციის დარღვევად არ მიიჩნევს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ჩარჩოებიდან გამოსვლას. თუმცა, ბრალის გადაკვალიფიცირებისა თუ სასჯელის შეცვლის შემთხვევაში აუცილებელ წინაპირობად ადგენს მხარეთა ჩართულობას. საქმეში **დალოსი უნგრეთის წინააღმდეგ**, რომელიც შეეხებოდა სწორედ ბრალის გადაკვალიფიცირებას სააპელაციო სასამართლოს მიერ, სტრასბურგის სასამართლომ გადამწყვეტი როლი მიანიჭა უზენაეს სასამართლოში შემდგომ გაგრძელებულ სამართალწარმოებას. ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, მიიჩნია რა, რომ უნგრეთის უზენაესმა სასამართლომ მხარეებს მისცა პოზიციების სრულყოფილად წარმოდგენის საშუალება, მათ შორის ზეპირი მოსმენის გამართვით.¹¹ იგივე პოზიცია დააფიქსირა სასამართლომ *საქმეში სიპავიჩიუსი ლიტვის წინააღმდეგ*, როცა აღნიშნა, რომ მიუხედავად ლიტვის საპროცესო კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვებისა, სასამართლოს ინიციატივით განხორციელებული გადაკვალიფიცირება ჩაჯდებოდა კონვენციის ფარგლებში, თუ უზრუნველყოფილი იქნებოდა მხარეთა პოზიციების სათანადო წარდგენა.¹²

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო პროცესის სამართლიანობა უნდა შეფასდეს მთლიანი საქმის წარმოების

¹⁰ Canada Evidence Act - R.S.C., 1985, c. C-5

¹¹ *Dallos v. Hungary (Application no. 29082/95, § 47-53, ECHR 2001-II)*, პარ. 47-53

¹² იქვე, 27-34

კონტექსტში, სამართლიანი სასამართლოს ზოგადი, ძირეული პრინციპების დაცვიდან გამომდინარე.¹³

3.15. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემომითითებული ჩანაწერი იმდენად მკაცრ ჩარჩოებს აწესებს, რომ მისგან გადახვევა წარმოუდგენელია. რაც მთავარია, აღნიშნული შეზღუდვა პროცედურული ხასიათისაა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე კონკრეტულ საქმეში აღმოაჩენს, რომ ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედება განაჩენის გამოტანის დროს აღარ წარმოადგენს დანაშაულს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, დაისმება კითხვა: რამ უბიძგა მას ამისაკენ, მოსამართლეს ხომ ამ კუთხით განაჩენის გადასინჯვის უფლებამოსილება არ ჰქონია?!

3.16. სწორედ ამიტომ საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მატერიალური მხარის შეფასებამდე ვალდებულია, იხელმძღვანელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რა დროსაც დღის წესრიგში დგება სწორედ ამ ნორმის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი.

3.17. ამ შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხი მოცემულ საქმეში მძაფრად არის გამოხატული, ვინაიდან იმ კატეგორიის დანაშაულებზე, რომელშიც ლ. ა-ის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2014 წლის 13 ივნისს მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტთან მიმართებით¹⁴.

¹³ *Sipavičius v. Lithuania (Application no. 49093/99, § 30, 21 February 2002)*, პარ. 27-28.

¹⁴ საქმე №103აპ-14, 13 ივნისი, 2014 წელი. აღნიშნულ საქმეში საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნ. პ-ს ქმედებაში არ იყო საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, კერძოდ: საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა 2013 წლის 31 ივლისს, რა დროსაც ამ დანაშაულის პირველი ნაწილის შემადგენლობისათვის საკმარისი იყო ნასამართლევ პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შემადგენლობას იძლეოდა პირის წარსულში მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობა. 2013 წლის 11 დეკემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვარს, შეიცვალა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისპოზიციის ნაწილი იმ მიმართებით, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობას იძლევა მხოლოდ განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რა დროსაც მნიშვნელობა არა აქვს არც წარსულში ნასამართლობას და არც ასაკს. რაც შეეხება ამ დისპოზიციის მე-2 ნაწილს - „ნარკოტიკების მოხმარებისათვის

4. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ“. ასევე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის კანონი) 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და სასამართლო განხილვა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეჩერდეს, თუ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლომ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

5. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს აშკარად გამოხატული ნიშნები, რომ საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უგულებელყოფს სასამართლოს შესაძლებლობას გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა სახეზე იყოს ისეთი პირის

ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარებას“, იგი დარჩა უცვლელად, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობა მოგვცა პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენამ არაერთგზის ან განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლოვი პირის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ „ვინაიდან ახალი კანონის თანახმად, მსჯავრდებული ნ. პ. არ არის განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი ცივი იარაღის ტარებისათვის, ესე იგი მის ქმედებაში არ არის სსკ-ის 238¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შესაბამისად, წარსულში მისი სასამართლობა მძიმე დანაშაულისათვის ვერ მოგვცემს საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც მსჯავრდებული გამართლდა“.

მსჯავრდება, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენს, შეიძლება, მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებისა და კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის შეუსაბამოდ, ასევე საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც უგულებელყოფს სასამართლოს შესაძლებლობას გაამართლოს პირი, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენს, შეიძლება, მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადების შეუსაბამოდ, რის გამოც კონსტიტუციური წარდგინებით უნდა მიემართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შეჩერდეს საქმისწარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

“საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის კანონი) 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო პალატამ

და ა დ გ ი ნ ა :

1. მიემართოს კონსტიტუციური წარდგინებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს:

ა) საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელიც უგულებელყოფს სასამართლოს შესაძლებლობას გაამართლოს პირი, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენს.

ბ) საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც უგულებელყოფს სასამართლოს შესაძლებლობას გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა სახეზე იყოს

ისეთი პირის მსჯავრდება, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენს.

2. შეჩერდეს მსჯავრდებულ ლ. ა-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე.

3. განჩინების შესახებ ეცნობოთ მხარეებს.

4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე

პაატა სილაგაძე

მოსამართლეები:

მია ოშხარელი

გიორგი შავლიაშვილი